პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 191 (2352) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ბორჯომში იწყება მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩის მეორე ნახევარი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის




# ერთად ვიმსჯელოთ, გავაანალიზოთ, შევაჯამოთ...

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა დამთავრდა. ახლა სასპარტაკიადო პერიპეტიებზე დაწვრილებით საუბრის, განსჯისა და ანალიზის დრო დადგა. ამთავითვე მკაფიოდ გამოკვეთილი მხოლოდ ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას ამ სპარტაკიადაზე ურიგოდ არ უასპარეზია. წინსვლა იგრძნობა. შესაფასებლად რომელი საზომი და ჩათვლის სისტემაც არ უნდა მოვიშველიოთ, დავრწმუნდებით, რომ ნაბიჯი, რომელიც წინ გადავდგით, საკმაოდ შესამჩნევია, (ყველაზე პრესტიჟული მაინც ოქროს მედლებია და აქ გამოკვეთილად ვართ V ადგილზე), მაგრამ ახლა დასკვნას საერთო წარმატებიდან მაინც ვერ გამოვიტანთ. თუ გვინდა, რომ სპარტაკიადა ჩვენი ძალების, უნარის გამოცდად დარჩეს, კრიტიკულად უნდა მივუდგეთ ყველა წვრილმანს, გამოვიძიოთ წარუმატებლობის მიზეზი, ვამხილოთ ნაკლი და ა. შ. ამგვარი საფუძვლიანი ანალიზისას უკანაც უნდა მოვიხედოთ, გონების თვალი მოვავლოთ ყველაფერს, რაც რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისთვის გაკეთდა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში და აქვე დავსვათ კითხვა: შევძელით, ვაჩვენეთ კი ამ ყურადღების შესაფერისი შედეგი?

ფაქტიურად ამ სპარტაკიადისათვის მზადება წინა სპარტაკიადის დამთავრებისთანავე დავიწყეთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადრინდელი ჩავარდნისათვის დაგვეღწია თავი. რესპუბლიკის სპორტსახკომმაც იმთავითვე სწორი კურსი აიღო. ამგვარი მონდომების შედეგებმა ჯერ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, შემდეგ ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში და ბოლოს ხალხთა სპარტაკიადაზე იჩინა თავი. სპარტაკიადისათვის მზადების ბოლო ეტაპზე ორგანიზატორებს, მწვრთნელებს და სპორტსმენებს თავი არ დაუზოგავთ. ეს ის გარემოება გახლავთ, რასაც გვერდს ვერ ავუვლით.

რალა თქმა უნდა, ჩვენს საზოგადოებრიობას სრული უფლება აქვს ანგარიში მოითხოვოს თითოეული ნაკრები გუნდისა და მისი მესვეურისაგან.

„— დამთავრდება სპარტაკიადა და ალბათ ხოტბა-დიდებას შეასხამთ ლაურეატებს, იმათ კი ვინც შეგვარცხვინა, ან შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინა (თუ არ გამოავლინა), ჩრდილში მიხწევთ, პასუხს არ მოსთხოვთ, წარუმატებლობის მიზეზებს არ ჩაწვდებით, იმ მიზეზებს, რომელსაც სულ სხვა რამ წარმოშობს, ვიდრე თქვენ გგონიათ". — გვწერს ერთი სპორტის ვეტერანი. ჩვენ ამ ღვაწლმოსილი ადამიანის გასაგონად ვამბობთ, რომ არ ვაპირებთ გვერდი ავუაროთ ნაკლოვანებებს, მხოლოდ მიღწეულით არ შევაფასებთ საერთო ვითარებას. და რომ ეს ასე იქნება, ამაში თავად დარწმუნდება ჩვენი მკითხველი. ოღონდ ჩვენცა გვაქვს თხოვნა: მოდით ერთად ვიმსჯელოთ, ერთად განვსაჯოთ, ერთად შევაქოთ და ერთად წარმოვაჩინოთ ნაკლი. ერთი სიტყვით, ვიმსჯელოთ პირუთვნელად. საკამათოდ ვიწვევთ ყველას: მკითხველებს, სპორტის გულშემატკივრებს, სპეციალისტებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს, სპორტული მუშაობის ორგანიზატორებს, პასუხისმგებელ ხელმძღვანელ მუშაკებს...

საფიქრალი და გასაანალიზებელი კი ბევრი რამ არის, განა ყველას ერთნაირად არ გვაღელვებს ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, ხელბურთელ ქალთა, მოჭადრაკე ქალთა, მოცურავეთა წარუმატებლობა? ზოგიერთ ამ სახეობაში მარცხი ეს იყო მოულოდნელობა, მაგრამ, ცხადია, უმიზეზო არა. სამაგიეროდ, მოულოდნელობა არ იყო და ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ჩამოვრჩებოდით მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობაში, ძალოსნობაში... ვიღაცას ხომ უნდა მოეთხოვოს კონკრეტული პასუხი, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში ერთ ადგილს ვტკეპნით, ან უკან ვიხევთ, ან შესაძლებლობებს ვერ ვავლენთ და არ ჩანს გაწეული ზრუნვისა და ხარჯების უკუგება? აი, ამ საკითხებზე გვინდა პირდაპირი საუბარი, საუბარი კონკრეტული მისამართებით. „ლელო" არ ერიდება და არც მოერიდება ასეთ დიალოგს თუნდაც საქმე ეხებოდეს ნებისმიერი რანგის სპორტულ ხელმძღვანელს — მთავარი მხაჯული საქმე, საბოლოო შედეგია და ამ პრინციპს განუხრელად დავიცავთ.

მაშ ასე, მეგობრებო, გიწვევთ სასაუბროდ, ველით თქვენს გამოხმაურებას და საქმიან წინადადებებს.

# მეცხრე პარტიიდან...



ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჭადრაკის დედოფლის გვირგვინისთვის მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩის გახსნის ერთი თვის თავზე, 2 ოქტომბერს ბორჯომში, ლიკანის კინოსაკონცერტო კლუბში იწყება ამ მატჩის მეორე ნახევარი. როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ბორჯომში ლენინგრადიდან ჩავიდა ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები). მოგეხსენებათ, კამპომანესი ნევისპირა ქალაქში გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანშის რამდენიმე პარტიას დაესწრო. იყო, აგრეთვე, რიგაში, სადაც პრეტენდენტები არტურ იუსუპოვი და ანდრეი სოკოლოვი არკვევენ ურთიერთობას.

შეგახსენებთ ბორჯომის ნახევრის რეგლამენტს. მეტოქენი, სოფიის მსგავსად, კვირაში სამ პარტიას ითამაშებენ. პარტიების დღეებია სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი, გადადებული პარტიების დამთავრებისა — ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა. ორშაბათი დასვენების დღეა.

მატჩის მთავარ მსაჯს, საერთაშორისო ოსტატსა და არბიტრს რუდოლფ მარიჩს (იუგოსლავია) საერთაშორისო არბიტრის ბულგარელი გიორგი ტოდოროვის ნაცვლად (იგი თავის სამშობლოში ეხმარებოდა მთავარ მსაჯს) დაეხმარება მოსკოველი საერთაშორისო არბიტრი ეკატერინა პეკარსკაია.

სააპელაციო კომიტეტის (ხელმძღვანელი — საერთაშორისო არბიტრი გიორგი გაჩეჩილაძე) წევრები იქნებიან საერთაშორისო ოსტატი რიმა ბილუნოვა (მოსკოვი) და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი საყვარელიძე. ისინი შეცვლიან ბულგარელ საერთაშორისო არბიტრებს ანა სანევასა და ნიკოლაი უჩორმინს.

დღეს, 2 ოქტომბერს ლიკანში გაიმართება მატჩის მე-9 პარტია. შეგახსენებთ, სოფიის ნახევრის, ანუ რვა პარტიის შემდეგ ანგარიშია 6:2 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

## სიახლეთა ესტაფეტა

### შეიქმნა ახალი სამმართველო

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან ახლახან შეიქმნა სპორტული ბაზების გამოყენებისა და ფასიანი მომსახურების სამმართველო. სამმართველოს ამოცანაა მოსახლეობას შორის მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლა და სპორტული ბაზების ფასიანი მომსახურების პირობების გაუმჯობესება.

### კულტურულ-სპორტული კომპლექსი ქარხანაში

ხარკოვში, ქარხანა „კომუნარში" გაიხსნა კულტურულ-სპორტული კომპლექსი, რომელიც მოიცავს 27 სხვადასხვა ობიექტს. აქ არის კინოსაკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საჭადრაკო-საშაშო კლუბი, 50-მეტრიანი ტირი, ძალოსნობის, რიტმული ტანვარჯიშის, სატრენაჟორო დარბაზები, ჩოგბურთის ორი დახურული კორტი, მასაჟის კაბინეტები, გასახდელები, საუნა, საშხაპეები... კვების ბლოკი, კაფე.

ვიდრე კარგი ჩანაფიქრი რეალურად განხორციელდება, ხშირად ირღვევა ახალი სპორტული ობიექტების ჩაბარების ვადები. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მესამე ტრესტს 1983 წელს უნდა დაემთავრებინა დოსააფის ცენტრალური კომიტეტის საწყლოსნო კომპლექსის მშენებლობა, მაგრამ ვადა მრავალგზის შეიცვალა. ბოლო შეთანხმებით სპორტული კომპლექსი წელს მეოთხე კვარტალში უნდა ჩამდგარიყო მწყობრში. მშენებლებმა კვლავ გატეხეს სიტყვა, საქმე ადგილიდან არ იძვრის...

იხ. მე-2 გვ.

რა გაკეთდა „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ?

# მოედანი განახლდება

ჩვენს გაზეთში 27 აგვისტოს გამოვაქვეყნეთ კრიტიკული წერილი იმის შესახებ, რომ თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტული სკოლის „ავაზას" მოედანი დიდი ხანია კეთილმოუწყობელია და მეცადინეობები სრულფასოვნად არ ტარდება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და თბილისის განათლების სამმართველო ოპერატიულად გამოეხმაურა გაზეთის გამოსვლას. შედგა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების ჩასატარებლად გამოიყო 240 ათასი მანეთი. სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები „ავაზას" საფეხბურთო მოედანზე მალე დაიწყება. სამუშაოთა წარმოება დავალებული აქვს თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტს (მმართველი ანზორ პირველი).

სპორტული ობიექტების, მათ შორის საფეხბურთო მოედნების კეთილმოწყობის დიდი გამოცდილება აქვს სახაგრომრეწვის სამშენებლო ტრესტს (მმართველი ვანო ყიფიანი), კარგი იქნებოდა თუ ეს ავტორიტეტული ორგანიზაცია პრაქტიკულ დახმარებას გაუწევდა მშენებლებს.

## სპარტაკიადის ფინიშზე

ლენინგრადში დასრულდა IX საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელთა ტურნირი. ქალთა შეჯიბრებაში დაუმარცხებლად იასპარეზა და I ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ რუსეთის ფედერაციის ფრენბურთელები, მესამეზე — უკრაინელები.

ვაჟთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. უკრაინა; 2. მოსკოვი; 3. ლიტვა. სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებით დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა.

## ინფორმაცია

სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა ვილნიუსის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — ხუთივე შეხვედრა მოიგო, მათ შორის ბოლო დღეს პოლონეთის გუნდს სძლია — 26:12 (14:4).

მინსკის არმიელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მატჩი გამართა ქალაქ კარისში. გუნდმა ადგილობრივ კლუბ „ბკ-45"-ს ანგარიშით 31:29 (14:12) მოუგო.

დასავლეთ ბერლინი. პოლონელმა სტაიერმა ბოგუსლავ პსოიეკმა გაიმარჯვა დასავლეთ ბერლინის ქუჩებში გამართულ ტრადიციულ მარათონში — 2:11.03. ქალთა შორის უძლიერესი იყო შარლოტა ტესკე (გფრ) — 2:35.10. შეჯიბრებაში 56 ქვეყნის 12280 სპორტსმენი გამოდიოდა.

მონრეალი. „ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყნის" უდიდესი ქალაქის შემოგარენში გამართული საერთაშორისო მარათონი ეთიოპიელთა ნამდვილი ტრიუმფით დამთავრდა. აბებე მეკონენმა 42 კმ და 195 მ 2:10.30-ში გაირბინა. ფინიშთან მეორე იყო ტეფერე გუტა — 2:15.00, ხოლო მესამე — ომარ მუსა — 2:15.57.

ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა შეჯიბრების ერთ-ერთი მასპინძელი ელენ როშფორი — 2:35.15.

მეხიკო. საერთაშორისო შეჯიბრება „მეხიკოს მარათონი" დამთავრდა ასპარეზობის ერთ-ერთი მასპინძლის, მექსიკელი არმიელის მანუელ გარსპერესას გამარჯვებით — 2:20.03. უცხოელი მონაწილეებისთვის (23 ქვეყნის 23 ათასი წარმომადგენელი) სიმაღლის, (2100 მეტრი ზღვის დონიდან) სიცხისა და უდიდესი ქალაქის „სმოგის" გამოცდა უძნელესი აღმოჩნდა. მათგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ბელგიელმა სპორტსმენმა ქალმა პაულსმა — 2:58.47. იგი ქალთა შორის მეოთხე იყო. ყველას აჯობა მექსიკელმა მარია ტრუხილომ — 2:51.03.

სპარტაკიადის ექო

# იმედი დიდი მოკავშირეა

მძლეოსნობის ისტორიაში სიგრძეზე ხტომაში ორ მსოფლიო რეკორდს ჰქონდა ეტაპობრივი მნიშვნელობა. ერთი მათგანი ლეგენდარულმა ჯესი ოუენსმა 1935 წლის 25 მაისს აშშ-ის ქალაქ ენ არბორში დაამყარა (8 მეტრი და 13 სანტიმეტრი). ეს მართლაც დიდი წარმატება იყო: ადამიანმა პირველად დაძლია რვამეტრიანი ზღვარი.

მეორე, ასევე ფანტასტიკურ რეკორდს პირველისაგან მთელი 33 წელი აშორებს. 1968 წლის 18 ოქტომბერს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა ზანგმა რობერტ ბიმონმა 8 მეტრი და 90 სანტიმეტრი დასძლია. სპეციალისტებმა ამ მიღწევის მნიშვნელობა ორი სიტყვით ასე შეაფასეს: „ნახტომი მომავალში“. ამ შეფასებას, სხვათა შორის, დღემდე არ გასვლია ყავლი, ვინაიდან ბიმონის რეკორდი ჯერჯერობით ხელუხლებელია.

ჩვენ, ჩვენს მიღწევებს, ჩვენივე შესაძლებლობებით ვზომავთ. საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადიდან მოსულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ვახტანგ მინაშვილმა სიგრძეზე ხტომაში რვამეტრიანი ზღვარი გადალახა, რა დასამალია და, აგვაფორიაქა. ჯერ ერთი, ამ ნახტომმა ჩვენს დელეგაციას კიდევ ერთი ბრინჯაოს ჯილდო მოუტანა, რაც თავისთავად, სასიხარულო ფაქტი გახლავთ. მეორეც, საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში პირველად, სიგრძეზე მხტომელი რვამეტრიან მიჯნას გადაევლო. მაშ ასე, ამიერიდან რესპუბლიკის რეკორდი მძლეოსნობის ამ პრესტიჟულ სახეობაში 8 მეტრსა და 2 სანტიმეტრს უდრის.

რამდენიმე სიტყვა თავად რეკორდსმენზე.

**ვახტანგ მინაშვილი.** დაიბადა 1963 წლის 7 იანვარს სამტრედიაში. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრია. მისი სიმაღლე 188 სანტიმეტრია, წონა — 81 კილოგრამი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1981 წელს. მისი პირველი მასწავლებელი აბესალომ ჯოგლიძე იყო. ვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. აქ მისი მწვრთნელი არჩილ კონსტანტინოვი გახლდათ. ამჟამად ვახტანგ მინაშვილს ევგენი საფრონოვი წვრთნის. 1985 წელს ვახტანგმა ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ორი წლით ადრე კი ბრიანსკში იუნიორთა საკავშირო პირველობაში II ადგილი დაიკავა (შედეგი — 7 მეტრი და 70 სანტიმეტრი). 1984 წელს სტუდენტთა საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის შედეგების მიხედვით ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში ჩაირიცხა. ჰყავს მეუღლე — ალმა მინაშვილი, სპეციალობით ეკონომისტი, და ორი წლის გოგონა თამრიკო.

● **ქართული მძლეოსნობის ისტორიაში ადგილი უკვე დაიმკვიდრეთ. ბედნიერი ხართ ამით?**

— უჩვეულო სიხარული პირველად მაშინ ვიგრძენი, როცა ვიქტორ სანეევის რესპუბლიკურ რეკორდს (790 სანტიმეტრი) ერთი სანტიმეტრი წავუმატე. რა დაგიმალოთ და, მეამაყებოდა, რომ ამ ლეგენდარული პიროვნების უშუალო მემკვიდრე გავხდი.

● **გამოდის, რომ თქვენ თქვენივე რეკორდი გაგიუმჯობესებიათ?**

— დიახ, ჩემს ძველ რეკორდს თერთმეტი სანტიმეტრი წავუმატე.

● **როდის გადაწყვიტეთ სიგრძეზე მხტომელი გამხდარიყავით?**

— უნივერსიტეტში არჩილ კონსტანტინოვთან მეცადინეობისას სიმაღლეზე ხტომამ გამიტაცა. ბატონი არჩილი ამ დარგის სპეციალისტია და ჩემი არჩევანიც ამან განაპირობა.

● **როგორი იყო თქვენი საუკეთესო შედეგი?**

— ორასექვსი სანტიმეტრი. ამ შედეგით სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შევასრულე.

იმ პერიოდში სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი, ასე, რვა მეტრის ფარგლებში, ლენინგრადელ სტეპანიანს ჰქონდა. 1983 წელს საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე მან ოქროს მედალი მოიგო — 806 სანტიმეტრი დაძლია. ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

● **როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები ახალ სახეობაში?**

— სამი წლის წინ 771 სანტიმეტრი დავძლიე და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს, თანაც მეთვალყურედ ვიქტორ სანეევი დამინიშნეს. ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იყო.

● **ევგენი საფრონოვს, თქვენს ახლანდელ მწვრთნელს როდის შეხვდით?**

—შარშან იაპონიაში უნდა წავსულიყავი უნივერსიადაზე, მაგრამ უნივერსიტეტს ვამთავრებდი და იაპონიაში წასვლა, ცხადია, გადაიდო. შეკრებიდან დაბრუნებულს სპორტკომიტეტის დადგენილება დამხვდა — ვარჯიში ევგენი საფრონოვთან უნდა დამეწყო. ასე შევხვდით ერთმანეთს.



● **სპარტაკიადისთვის როგორ ემზადებოდით?**

— მეც და ჩემს მწვრთნელსაც დიდი იმედები გვქონდა, ვმუშაობდით ძალ-ღონის დაუზოგავად, მტკიცე გრაფიკით, მაგრამ ერთი კვირით ადრე ძველმა ტრავმამ შემომიტია. საერთოდ ტრავმები ბოლო დროს თავს მახსენებენ, რაც, ცხადია, შედეგებზეც მოქმედებს. იძულებული გავხდი ნემსი გამეკეთებინა. სპარტაკიადისთვის რვა უძლიერესს შორის მოხვედრა მქონდა დაგეგმილი, მაგრამ არავის ეგონა ნატკენი ფეხით ამდენს თუ შევძლებდი.

● **ამის გამო თქვენი და მწვრთნელის ჩანაფიქრი ხომ არ შეიცვალა?**

— რვამეტრიან ზღვარზე არ ვფიქრობდით, მაგრამ საპრიზო ადგილი უნდა დამეკავებინა, რომ გუნდისთვის მაქსიმალური ქულები მიმეცა. ამიტომ პირველ რიგში მთელი ყურადღება საკვალიფიკაციო ნორმატივის შესრულებაზე გადავიტანეთ. მეორე ცდის შემდეგ გაირკვა, რომ თორმეტ უძლიერეს მხტომელს შორის ბრძოლის უფლება მოვიპოვე. პირველი დღის მღელვარება ამით დამთავრდა.

● **მთავარი მოვლენები, ცხადია, მეორე დღეს განვითარდა.**

— დიახ, ფინალური ასპარეზობის დღეს. რობერტ ემიანი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველივე ცდაზე დაწინაურდა. მე ჩემი სარეკორდო ნახტომი მეოთხე ცდაზე შევასრულე. მეხუთე ცდა მწვრთნელის რჩევით გამოვტოვე. ნერვიულობით დაღლილს დასვენება მჭირდებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამ დროისთვის მეორე შედეგი მქონდა, მაგრამ მეხუთე ცდა, რომელსაც წესით, სიმშვიდე უნდა მოეტანა ჩემთვის, საბედისწერო გამოდგა, ვინაიდან სწორედ ამ ცდაზე გამასწრო უკრაინელმა მხტომელმა (806 სანტიმეტრი დაძლია).

● **ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, თქვენ ალბათ ახალი ზღუდეების დასაძლევად ემზადებით.**

— იმედი სპორტში დიდებული მოკავშირეა და ჩვენც, ცხადია, იმედით ვცოცხლობთ. ერთი რამ მტკიცედ მჯერა — 802 სანტიმეტრი რესპუბლიკის რეკორდად დიდხანს ვერ დარჩება.

**ნოდარ გუგუშვილი.**

ლახტის წრეში

# იკარგება დრო, ენერგია, ხარჯები...

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, მოგეხსენებათ, ცურვის შესწავლისა და ჯანმრთელობის გაკაჟების მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ის აუზები, რომლებიც თბილისელთა განკარგულებაშია, მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალურად არიან დატვირთული, საქმეს ვერ აუდიან. სწორედ ამიტომ გაგვახარა საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ — თავისი საზღვაო სკოლისათვის საცურაო აუზის კომპლექსის აშენების შესახებ. კომპლექსი საწყლოსნო სახეობებში მომეცადინე სპორტსმენებთან ერთად სააბონემენტო ჯგუფებსაც მოემსახურებოდა, რაც გარდა იმისა, რომ დიდი დახმარება იქნებოდა ცურვის მოყვარულთათვის, ერთგვარად ხელსაც შეუწყობდა სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

შემკვეთმა, დოსააფის ცკ-ის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი დავით წიკლაური) შეარჩია საკავშირო სტანდარტების მიხედვით შექმნილი ტიპობრივი პროექტი, რომელიც თბილქალაქპროექტში დაამუშავეს (სახელოსნოს უფროსი ზურაბ ზურაბაშვილი) და ადგილობრივ პირობებს მიუსადაგეს.

უნდა აშენებულიყო სამი კორპუსი. ძირითად კორპუსში იქნებოდა: სამი აუზი — ცენტრალური (50X21 მ.), საჭყუმპალაო (10,5X6) და მოსამზადებელი (18X9), ე. წ. „მშრალი“ ცურვისთვის განკუთვნილი დარბაზი, გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო პუნქტი, კვების ბლოკი. პროექტის მიხედვით, ძირითადი კორპუსის მეორე სართულიდან შემინული დერეფანი გადიოდა სახტომ აუზში (25 X 6), რომელსაც ცალკე, მესამე კორპუსი უნდა დათმობოდა.

მეორე კორპუსში უნდა ყოფილიყო საერთო საცხოვრებელი 84 ადგილზე, საკლასო ოთახები, 120-ადგილიანი სასადილო, ლაბორატორიები, აღდგენითი ცენტრი, ფინური აბანო, კლუბი და მიწისქვეშა 50-მეტრიანი ტირი.

მშენებლობის დაწყება, რისთვისაც 2,9 მლნ. მანეთი გამოიყო, დაევალა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მესამე ტრესტის (მმართველი მალხაზ ანანიაშვილი) მერვე სამმართველოს (უფროსი გურამ სვანაძე).

და აი, 1979 წელს მშენებლობა დაიწყო. დაინიშნა კომპლექსის ჩაბარების ვადაც: 1983 წელი. ბაზის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმის დღეებში უნდა შემდგარიყო. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ჩაბარების ვადა შეიცვალა. შეიცვალა ერთხელ, მეორედ... ბოლოს ობიექტის ჩაბარების ახალი ვადა დაინიშნა — 1986 წლის IV კვარტალი, მაგრამ...

დახედეთ ამ ფოტოებს. დიახ, დღესდღეობით მშენებლობა იმ სტადიაშია, ძნელია დაიჯერო, რომ წლის ბოლომდე მისი ჩაბარება შესაძლებელი იქნება. ამაში გვარწმუნებს ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნული ციფრებიც: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1986 წლის გეგმაა 300 ათასი მანეთი; რვა თვის გეგმა — 260 ათასი მანეთი; ა. წ. 1 სექტემბრისთვის ათვისებულია 65 ათასი მანეთი, ანუ გეგმიური თანხის 25 პროცენტი. თუ მშენებლობა ასეთი ტემპით გაგრძელდა, შეიქმნება გამოყოფილი თანხების დაკარგვის საშიშროება, რაც კიდევ უფრო შეაფერხებს ობიექტის ჩაბარებას.



დღეს ასე გამოიყურება კომპლექსის მთავარი კორპუსი.

კომპლექსის დასათვალიერებლად მისულებმა მშენებლობას შორიდან საგანგაშო ვერაფერი შევატყვეთ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხმელნიცკის ქუჩის დასაწყისში ეკლარის ქვითა და ტუფით მოპირკეთებული ორი დიდი კორპუსი მოჩანს. მესამე კორპუსი კი დაგვაკლდა თვალში, მაგრამ... როდესაც ვიკითხეთ, გვითხრეს, რომ მესამე კორპუსის ასაშენებელი თანხები დანარჩენების მოპირკეთებას შეწირვია, ხოლო მისი მშენებლობა კი საძირკვლის ჩაყრისთანავე შეუწყვეტიათ. დავინტერესდით, რატომ შეცვალეს თავიდან გათვალისწინებული მოპირკეთება: გარემოს არ მიესადაგაო გვითხრეს. ნუთუ არ შეიძლებოდა თავიდანვე გაეთვალისწინებინათ ეს? ალბათ შეიძლებოდა, ისევე როგორც შეიძლებოდა მთელი რიგი იმ დარღვევებისა და შეცდომების გათვალისწინება, რომლებიც უშუალოდ მშენებლობაზე ვნახეთ.

1986 წლის დასაწყისში მშენებარე კომპლექსის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა მალხაზ კაპანაძე, კაცი, რომელიც მთელი არსებითაა დაინტერესებული ამ საქმით. პროფესიით ინჟინერი, წარსულში ცნობილი წყალბურთელი, იგი ახლაც ავარჯიშებს ბავშვებს. სწორედ მან და მშენებლობის ახლანდელმა ხელმძღვანელმა ჯემალ დარსალიამ დაგვათვალიერებინეს კომპლექსი და გაგვაცნეს საქმის ვითარება. აღმოჩნდა, რომ მშენებლები საქმეს თავიდანვე, მეტი რომ არ ვთქვათ, [illegible] მოკიდებიან. [illegible] სახურავი აუზის თავზე თანდათან უნდა მაღლდებოდეს, რომ, ვთქვათ, წყალბურთის თამაშისას, ბურთმა თავისუფლად იფრინოს. აქ კი პირიქითაა, სახურავი სწორედ აუზის თავზეა დაბალი... ამ კურიოზს თავიდან აიცილებდნენ, რჩევისთვის სპეციალისტი რომ მოეწვიათ. შეცდომამ, რომელსაც ალარაფერი ეშველება, გამოიწვია ის, რომ ძირითად კორპუსს ველარ უკეთდება ე. წ. „დაკიდებული“ ჭერი, გართულდა განათებისა და გადახურვის ღიად დარჩენილი კონსტრუქციის ლამაზად გაფორმების საკითხი. დიდ აუზს არ ჰქონდა სათვალთვალო ფანჯრები, ურომლისოდაც შეუძლებელია ზოგიერთი შეჯიბრების ჩატარება. ამ შეცდომის გამოსწორებასაც დამატებითი დრო, ენერგია და ხარჯები დასჭირდა. მთელი რიგი სამშენებლო სამუშაოები ტარდება უსისტემოდ. მაგალითად, დიდი აუზის გარშემო უკვე დაგებულია ფილები, რაც ტექნოლოგიურად არ არის გამართლებული, რადგანაც ჯერ არ დაუწყიათ ჭერის შეღებვა. ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ ფილები დაისვრება და ნაწილი გამოსაცვლელი გახდება. ერთი სიტყვით, ნაწილი სამუშაოებისა ჯერ არ ჩატარებულა, ნაწილი კი ხელმეორედ გასაკეთებელია. უახლოეს დღეებში საქმეს უნდა შეუდგნენ ელექტრომონტიორები და სანტექნიკოსები, მაგრამ მათ განკარგულებაში სამუშაო მასალის მხოლოდ ერთი ნაწილია. ესეც შეაფერხებს სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებას. კაცმა რომ თქვას, ან როგორ შეიძლება მშენებლობა დროულად დამთავრდეს, როდესაც 200 მუშის ნაცვლად სამუშაოდ ყოველდღიურად მხოლოდ 20-25 კაცი გამოდის.

ერთი სიტყვით, კომპლექსს, რომელიც „გარედან მტერს უყენებს თვალს, შიგნით კი მოყვარეს“, ახლა ძალზე დიდი ყურადღება სჭირდება. როდის მოხდება სასიკეთო გარდატეხა მშენებლობაში? რედაქცია ელის პასუხს.



ძირითადი საცურაო აუზი.



ეს კი სახტომი აუზის საძირკველია.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

სახალხო დეპუტატთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი რუსთავის „მეტალურგისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამის შესახებ 24 სექტემბერს საგანგებოდ გამართულ აღმასკომის სხდომაზე ვიმსჯელეთ.

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ „მეტალურგის“ გუნდის წევრი ხ. ქასრაშვილი თავაშვებული საქციელისათვის გუნდის საერთო კრებაზე მკაცრად იქნა გაფრთხილებული. ასევე მკაცრად გააფრთხილეს გუნდის მეორე წევრი ბ. უგულავა, რომელმაც მსაჯთან კამათისათვის ყვითელი ბარათი მიიღო. ეს ფეხბურთელები მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევაში გუნდიდან გაირიცხებიან.

ფეხბურთელთა გუნდში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის კონკრეტული ღონისძიებები დაისახა.

ქ. ბაქრაძე,
რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# წარმატებას შვიდი წელი დასჭირდა

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბის სტადიონი. 27-28 სექტემბერი. „შევარდენი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 26:9 (8:6), 17:0 (8:0).

წინა ტურში თბილისის „ლოკომოტივთან“ თამაშის შემდეგ „შევარდენს“, როგორც იტყვიან, თავი ქუდში ჰქონდა, ვინაიდან ბოლო ტურში „ბ“ ფინალის აუტსაიდერს მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდებოდა. ეს გუნდი ორი კვირის წინ სასტიკად დამარცხდა თბილისში „ლოკომოტივთან“, მაგრამ „შევარდენის“ მოთამაშეებისთვის „სპარტაკთან“ მატჩებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა — გამარჯვების შემთხვევაში გუნდი უმაღლეს ლიგაში გადადიოდა, ამიტომ საფიქრებელი იყო: მღელვარებასა და მეტოქის ძალების შეუფასებლობას ცუდი სამსახური არ გაეწია თბილისელი რეგბისტებისთვის. ჩვენდა გასახარად, ასე არ მოხდა: „შევარდენმა“ ორივე მატჩი საკმაოდ იოლად მოიგო, თუმცა, ორიოდე მომენტზე მაინც გავამახვილებთ ყურადღებას. როცა „შევარდენი“ სერიოზულად ეკიდებოდა თამაშს, მაყურებელი მიმზიდველი სპორტული სანახაობის მოწმე ხდებოდა, საკმარისი იყო გუნდი ოდნავ მოდუნებულიყო, რომ მაშინვე იწყებოდა გაუთავებელი ფაცი-ფუცი, გახშირდებოდა ყოვლად გაუმართლებელი ტაქტიკური სვლები და მიამიტური ტექნიკური შეცდომები.

ამ მატჩებში „შევარდენის“ ღირსებას იცავდნენ: მცველი გვიანიშვილი; სამმეოთხედელები: საცერაძე, რაზმაძე, კურატიშვილი, მელაძე, კომახიძე, ალანია; ნახევარმცველები: გარუჩავა, ჯანელიძე, სურმავა; მორკინალები. პირველი ხაზი: მჭედლიძე, მიქაძე, მაზანაშვილი, ნიკურაძე, ჭელიძე; მეორე ხაზი: მარტიროსოვი, კახეთელიძე, ალექსიძე; მესამე ხაზი: კაპანაძე (გუნდის კაპიტანი), გეგიძე, მგელაძე, მაჭავარიანი, სოკუროვი.

„შევარდენმა“ ქულები ასე მოიპოვა: შაბათს: 4 დამიწება (საცერაძე, გეგიძე, მაჭავარიანი, გარუჩავა), 2 რეალიზაცია (კურატიშვილი), 2 საჯარიმო (გარუჩავა); კვირას: 3 დამიწება (კახეთელიძე, 2 — მელაძე), თითო რეალიზაცია და საჯარიმო (გარუჩავა).

**მაშ ასე! საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (რექტორი — პროფესორი ოთარ ნათიშვილი, ფიზაღზრდის კათედრის გამგე — რობერტ შავლაყაძე) რეგბისტთა გუნდმა „შევარდენმა“ საკავშირო ასპარეზზე გამოსვლის მეშვიდე წლისთავზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია: მოიპოვა 1987 წელს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება,** მოიპოვა არა უმაღლესი ლიგის გაფართოებისა და სხვათა დისკვალიფიკაციის ხარჯზე, არამედ უშეღავათო და უძნელეს სპორტულ ბრძოლაში. სათანადოდ დაფასდა გუნდის ყველა ქომაგის, კერძოდ, თბილისის რეგბის ფედერაციის პრეზიდიუმის (თავმჯდომარე ელგუჯა კანდელაკი) და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ (თავმჯდომარე ოთარ კალაძე) ამაგი. პირველ ყოვლისა კი, ცხადია, მოთამაშეებსა და მათ დამრიგებლებს — გუნდის უფროსს ზურაბ ლოსაბერიძეს, მწვრთნელს გივი ავლასტიმოვსა და, რაღა თქმა უნდა, უფროს მწვრთნელს რამაზ სანებლიძეს უნდა მივულოცოთ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რამაზ სანებლიძე 1975 წლიდან ჯიუტად სჭედდა „შევარდენის“ დღევანდელ წარმატებას. გუნდის ხელმძღვანელობა მადლიერებით იხსენებს აგრეთვე თამაზ მგელაძესა და დათო კილასონიას „შევარდენის“ ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპზე მათ მიერ აღმოჩენილი დახმარებისათვის.



ამავე ტურში თბილისის „ლოკომოტივი“ კიევში შეხვდა „პოლიტექნიკს“. შაბათს მატჩი ფრედ (3:3) დამთავრდა, კვირას კი „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა (4:0). რკინიგზელთა მთავარმა მეტოქემ უმაღლესი ლიგის საგზურისათვის გამართულ ბრძოლაში, ლვოვის „სოკოლმა“ შინ ჯერ ფრედ დაამთავრა შეხვედრა ტირასპოლის „ელექტრომაშთან“ (13:13), მერე კი დამარცხდა (15:18). ახლა „ლოკომოტივს“ [illegible] ორი ფრეც აძლევს ხელს იმისათვის, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩეს.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „პრიმორეცი“ | 19 | 14 | 2 | 3 | 30 |
| „ელექტრომაში“ | 19 | 13 | 1 | 5 | 27 |
| „შევარდენი“ | 21 | 12 | 2 | 7 | 26 |
| „ლოკომოტივი“ | 19 | 10 | 2 | 7 | 22 |
| „სოკოლი“ | 19 | 9 | 2 | 8 | 20 |
| „პოლიტექნიკი“ | 21 | 6 | 1 | 14 | 13 |
| „სპარტაკი“ | 19 | 5 | 1 | 13 | 11 |
| მსი | 19 | 3 | 1 | 15 | 7 |

## „ა“ ჯგუფი

„ა“ ჯგუფში ქუთაისის „მშენებელმა“ შინ ორჯერ დაამარცხა ბრინჯაოს მედლების ერთ-ერთი პრეტენდენტი მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 4:3 და 6:3. შეჯიბრების დამთავრებამდე (გუნდებმა სულ 39 მატჩი უნდა ჩაატარონ) ორი ტური დარჩა. სსა-ს 56 ქულა აქვს (34 თამაშში), „სლავას“ — 50 (35), „ფილის“ — 35 (31), „ავიატორს“ — 35 (33), „ლოკომოტივსა“ და ასკა-ს — 34 (35), „ეტს“ — 27 (33), „მშენებელს“ — 24 (34). მორიგ ტურში, 4-5 ოქტომბერს, „მშენებელი“ კრასნოიარსკში „ექსკავატორტიაჟსტროის“ შეხვდება.

ზაალ გიგინეიშვილი.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის II ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.**

### I-XII ადგილები

**„სულორი“ (ვანი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 4:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ორმოცაძე, ჯ. ვერულაშვილი, გ. ვერულაშვილი-2 („სულორი“), მერეჩკო-2 („მადნეული“).

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი ფეხბურთელი გ. მუშკუდიანი.

**„არმაზი“ (მცხეთა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:5. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: გორგოძე, სვანაძე, კუხიანიძე, ფესტვენიძე, გოგელიძე („შადრევანი“), სოლოღაშვილი („არმაზი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 5:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: დადუნაშვილი, კიკნაველიძე, გურიელიძე, ლაბაძე, კიკნაძე („მეტალურგი“), ბჟანია, გაბისონია, გუჩუა („ამირანი“).

**„კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: რაზმაძე-2 („კახეთი“), ვ. თუთბერიძე („დინამო“).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 0:6. მსაჯი გ. გაბესკირია (სოხუმი).** გოლები: გოგიჩაიშვილი, ჯაკობია, ჯიშკარიანი-2, ჯოჯუა-2 („შევარდენი“-სპი).

**„ივერია“ (ხაშური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1, მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ჯანგულიძე („ივერია“), ქავთარაძე („სამეგრელო“).

### XIII-XXIII ადგილები

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1. მსაჯი ვ. შელია (გაგრა).** გოლი: ტაკაშვილი („დურუჯი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ი. ჯიოევი, პ. ჯიოევი („სპარტაკი“), სილაგაძე („საპოვნელა“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლი: პეპელაშვილი („ქართლი“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „იმედი“ (თბილისი) 3:3. მსაჯი ზ. მილჩენკო (სოხუმი).** გოლები: აბრალავა, აფხაზავა, ბ. კვარაცხელია („სქური“), ავსაჯანიშვილი, მიქელაშვილი, პეტროსიანი („იმედი“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).**

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 2 ოქტომბრისთვის**

### I-XII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარ.“-სპი | 12 | 7 | 3 | 2 | 29-14 | 17 |
| „მეტალურგი“ | 12 | 7 | 2 | 3 | 24-18 | 16 |
| „სამეგრელო“ | 12 | 6 | 4 | 2 | 17-9 | 16 |
| „სულორი“ | 12 | 6 | 1 | 5 | 25-19 | 13 |
| „შადრევანი“ | 12 | 6 | 1 | 5 | 22-17 | 13 |
| „კახეთი“ | 12 | 6 | 1 | 5 | 18-19 | 13 |
| „დინამო“ ზ. | 12 | 6 | 0 | 6 | 30-20 | 12 |
| „მადნეული“ | 12 | 4 | 3 | 5 | 29-28 | 11 |
| „არმაზი“ | 12 | 4 | 3 | 5 | 22-27 | 11 |
| „ეგრისი“ | 12 | 4 | 2 | 6 | 10-26 | 10 |
| „ივერია“ | 12 | 2 | 2 | 8 | 10-22 | 6 |
| „ამირანი“ | 12 | 2 | 2 | 8 | 12-29 | 6 |

### XIII-XXIII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი“ | 12 | 7 | 3 | 2 | 17-6 | 17 |
| „დინამო“ გ. | 11 | 5 | 2 | 4 | 17-12 | 12 |
| „სპარტაკი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 12-11 | 12 |
| „სალხინო“ | 12 | 4 | 4 | 4 | 11-9 | 12 |
| ფიზკ. ინსტ. | 10 | 4 | 3 | 3 | 11-9 | 11 |
| „დურუჯი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 10-11 | 11 |
| „იმედი“ | 10 | 2 | 6 | 2 | 9-9 | 10 |
| „საპოვნელა“ | 11 | 4 | 1 | 6 | 16-20 | 9 |
| „ქართლი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 4-5 | 9 |
| „სქური“ | 12 | 3 | 3 | 6 | 13-23 | 9 |
| „იმერეთი“ | 12 | 3 | 2 | 7 | 9-14 | 8 |

## გათამაშების კალენდარი

**გთავაზობთ ფეხბურთში საქართველოს პირველობის ოქტომბრის თვის კალენდარს (I ლიგა).**

**I-XII ადგილები**

**III ტური**

**4 ოქტომბერი.** „კახეთი“ — სამეგრელო“, „არმაზი“ — „ეგრისი“, „შევარდენი“-სპი — „ამირანი“, „მადნეული“ — „დინამო“ ზ., „ივერია“ — „სულორი“, „შადრევანი“ — „მეტალურგი“.

**IV ტური**

**7 ოქტომბერი.** „ეგრისი“ — „კახეთი“, „შევარდენი“-სპი — „სულორი“, „მადნეული“ — „შადრევანი“, „სამეგრელო“ — „არმაზი“, „ამირანი“ — „ივერია“, „დინამო“ ზ. — „მეტალურგი“.

**V ტური**

**11 ოქტომბერი.** „ამირანი“ — „მადნეული“, „დინამო“ ზ. — „არმაზი“.

**12 ოქტომბერი.** „კახეთი“ — „შადრევანი“, „სამეგრელო“ — „შევარდენი“, „ეგრისი“ — „ივერია“, „სულორი“ — „მეტალურგი“.

**VI ტური**

**18 ოქტომბერი.** „სულორი“ — „კახეთი“, „ივერია“ — „შადრევანი“, „მადნეული“ — „სამეგრელო“.

**19 ოქტომბერი.** „არმაზი“ — „ამირანი“, „შევარდენი“-სპი — „დინამო“ ზ., „მეტალურგი“ — „ეგრისი“.

**მეორე წრე**

**VII ტური**

**25 ოქტომბერი.** „სულორი“ — „არმაზი“, „შადრევანი“ — „შევარდენი“-სპი, „მადნეული“ — „ეგრისი“.

**26 ოქტომბერი.** „მეტალურგი“ „სამეგრელო“, „ივერია“ — „დინამო“ ზ., „ამირანი“ — „კახეთი“.

**XIII-XXIII ადგილები**

**III ტური**

**4 ოქტომბერი.** „დურუჯი“ — „სქური“, „იმედი“ — „მერცხალი“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „იმერეთი“, „საპოვნელა“ — „ქართლი“, „დინამო“ გ. — „სპარტაკი“. თავისუფალია „სალხინო“.

**IV ტური**

**7 ოქტომბერი.** „მერცხალი“ — „დურუჯი“, „იმერეთი“ — „იმედი“, „ქართლი“ — „დინამო“ გ., „სპარტაკი“ — „სალხინო“, „საპოვნელა“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი. თავისუფალია „სქური“.

**V ტური**

**11 ოქტომბერი.** „დურუჯი“ — „იმერეთი“, „სალხინო“ — „ქართლი“, „იმედი“ — „საპოვნელა“.

**12 ოქტომბერი.** „სქური“ — „სპარტაკი“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „დინამო“ გ. თავისუფალია „მერცხალი“.

**VI ტური**

**18 ოქტომბერი.** „საპოვნელა“ — „დურუჯი“, „დინამო“ გ. — „იმედი“, „სალხინო“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი, „სპარტაკი“ — „მერცხალი“, „ქართლი“ — „სქური“. თავისუფალია „იმერეთი“.

**მეორე წრე**

**VII ტური**

**25 ოქტომბერი.** „დინამო“ გ. — „დურუჯი“, „სალხინო“ — „იმედი“, „სპარტაკი“ — „იმერეთი“.

**26 ოქტომბერი.** „ქართლი“ — „მერცხალი“, „სქური“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი. თავისუფალია „საპოვნელა“.

## ბევრი რამ ფეხბურთზე

**თბილისის** ჟურნალისტის სახლში შეკრებილ გულშემატკივრებს საინტერესო ღონისძიება შესთავაზეს ორგანიზატორებმა — თემატური საღამო მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატზე.

„მექსიკა-86“ — ასე დაერქვა ამ შეკრებას, რომელიც ჟურნალისტის სახლის დირექტორმა ზურაბ რცხილაძემ გახსნა. გულშემატკივრებთან სასაუბროდ მოვიდნენ ახლო წარსულში სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ცნობილი ფეხბურთელი, ამჟამად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კახი ასათიანი და სპორტული ჟურნალისტი დავით ქლიბაძე. საინტერესოა, რომ კ. ასათიანი ჩვენი ნაკრების ღირსებას იცავდა მექსიკის მსოფლიოს IX ჩემპიონატზე, რომელიც 16 წლის წინათ გაიმართა, ამჯერად კი იგი მექსიკის დიდ საფეხბურთო ბატალიებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

საღამოს ბევრი რამ საინტერესო ითქვა ფეხბურთზე, მის დიდოსტატებზე, თბილისის „დინამოზე“.

დიდი მოწონება დაიმსახურა შეხვედრის დასასრულს ნაჩვენებმა დოკუმენტურმა ფილმმა „ბრაზილიური ფეხბურთის გიგანტები“, რომელშიც კვლავ ვიხილეთ პელეს, გარინჩას, დიდის, ვავას, ზაგალოს, რიველინოს, ზიკოს, სოკრატესის უბადლო ოსტატობა.

ჟურნალისტის სახლი და ქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი, რომელთა ინიციატივით მოეწყო ეს შეხვედრა, ამგვარ სპორტულ საღამოებს კვლავაც გამართავენ.

ოთარ გოლაძე.



დარბაზში ფეხბურთის ბევრმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი.

## მკითხველი — გაზეთი

**ჩვენი** გაზეთის ერთ-ერთი მკითხველის წერილზე კიევის „დინამოს“, თბილისის „დინამოსა“ და ბუქარესტის „სტიაუას“ გარდა სოციალისტური ქვეყნების რომელიმე გუნდი თუ იყო ევროპის საკლუბო თასების მფლობელი ფეხბურთში, ვუპასუხეთ, რომ უეფა-ს თასს ფლობდა ზაგრების „დინამოც“.

მაგრამ ფეხბურთის მოყვარულები გვთხოვენ მოვიყვანოთ სია უკლებლივ ყველა გუნდისა, ვინც კი სოციალისტური ქვეყნებიდან სხვადასხვა წლებში ფლობდა ევროპის საკლუბო თასებს.

**ჩემპიონთა თასი.** 1986 წელი. „სტიაუა“ (რუმინეთი).

**თასების მფლობელთა თასი.** 1969 წელი. „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია). 1974 წელი. მაგდებურგი (გდრ). 1975 წელი. „დინამო“ (კიევი). 1981 წელი. „დინამო“ (თბილისი). 1986 წელი. „დინამო“ (კიევი).

**უეფა-ს თასი.** 1965 წელი („ფერენცვაროში“ (უნგრეთი). 1967 წელი. „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია).

### კასპაროვ — კარპოვის მატჩის ირგვლივ

# ფინიშის სიმძაფრე

## ანუ, როცა უდავო სადავო გახდა

ის, რომ მატჩის მეორე, ლენინგრადის ნახევარი პირველზე. უფრო მძაფრი იქნებოდა, ცხადია, სავარაუდებელი იყო, მაგრამ ბოლო პარტიებში პირდაპირ განსაცვიფრებელი ამბები მოხდა. თუ ლონდონში გათამაშებულ 12 პარტიაში ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით სულ 3 შეხვედრა დამთავრდა, ლენინგრადში ასეთი ხუთი იყო!

მეჩვიდმეტე პარტიის წინ, როცა ანგარიში იყო 9,5:6,5 კასპაროვის სასარგებლოდ, მსოფლიო ჩემპიონის ბანაკში არავინ მოელოდა რაიმე უსიამოვნებას. „საქმე ისე წავიდა, რომ მატჩ-რევანშის ბოლო ორი შეხვედრა, ეტყობა, აღარ გაიმართება. გარი მანამდე გაიმარჯვებს? — განაცხადა ჩემპიონის სეკუნდანტმა, დიდოსტატმა იოსებ დორფმანმა.

ცნობილი იუგოსლაველი ჟურნალისტი, კარპოვის ამჟამინდელი პრეს-ატაშე დიმიტრიე ბელიცა ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ ფურცლებზე წერდა: როცა მეთექვსმეტე პარტიის გადადების მომენტი დადგა, კასპაროვმა სცენა დატოვა. კარპოვს კონვერტი გადასცეს, სვლა რომ ჩაეწერა, მაგრამ მან გადაწყვიტა აღარ გადაედო პარტია და დანებების ნიშნად ბლანკს ხელი მოაწერა. კასპაროვი სცენაზე დაბრუნდა და მანაც მოაწერა ხელი ბლანკს. იგი მაყურებლებმა ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. ეს, ცხადია, მისი საბოლოოდ გამარჯვების მაუწყებელი ოვაცია იყო“.

ასეთ ვითარებაში, როცა კასპაროვის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა, აღმოჩნდა ერთი სკეპტიკოსი, დიდოსტატი დავით ბრონშტეინი, რომელმაც იმავე ბელიცას შემდეგი განუცხადა:

— მატჩის ასეთი ანგარიშის მიუხედავად, დამიჯერეთ, ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება. მე მითამაშია მატჩი მსოფლიო პირველობაზე ბოტვინიკთან და კარგად ვიცი, როგორი ნერვიულობით ხასიათდება ეს ბრძოლა. კასპაროვის საბრძოლო მზადყოფნა ახლა ჩინებულია, მაგრამ საკმარისია ერთი პარტია წააგოს, ვითარება მყისვე შეიცვლება. რაც შეეხება პარტიების ხარისხს, იგი უდავოდ მაღალია, მაყურებელს საშუალება აქვს მეტად საინტერესო შეხვედრებს ადევნოს თვალი.

კასპაროვს უსიამოვნება. მოუტანა მეჩვიდმეტე პარტიამ, გრიუნფელდის დაცვაში იგი დიდ სადებიუტო სიურპრიზს წააწყდა და ცაიტნოტში მოხვდა. მისი სეკუნდანტები დიდხანს იხტიბარს არ იტეხდნენ:

— დიახ, გარი ცაიტნოტშია და უარესი პოზიციაც აქვს, მაგრამ ამ პარტიასაც მოიგებს.

თუმცა პრეს-ცენტრში „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტს განუცხადეს:

— კარპოვს, ცხადია, უკეთესი პოზიცია აქვს. რობერტ ფიშერი ასეთ უპირატესობას ხელიდან არ უშვებდა.

უპირატესობა ხელიდან არც კარპოვს გაუშვია. დავით ბრონშტეინი: „მე ამ პარტიამ ის კარპოვი გამახსენა, საუცხოო ფორმაში რომ იყო. იგი არ თმობს მატჩს. ძალა მოიკრიბა და, როგორც იტყვიან, „მკვდრეთით აღსდგა“.

თვით კარპოვმა კი აი, რა თქვა.

— ცხადია, მე მეჩვიდმეტე პარტიაში თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ შემიძლია დავივიწყო წინა, მეთექვსმეტე, რომელიც ჭეშმარიტად ფანტასტიური აღმოჩნდა.

ამ შეხვედრაში, ექსპერტების აზრით, კარპოვს შეეძლო ყაიმისთვის მიეღწია. „კარპოვი კვლავ ოპტიმისტურად არის განწყობილი, — წერდა ბელიცა, —იგი თვლის, რომ შეძლებს ანგარიშის გათანაბრებას“. მაშინ ჯერ კიდევ 7 პარტია იყო დარჩენილი.

— რა თქმა უნდა, მატჩი ჯერ არ დამთავრებულა, — განუცხადა ჟურნალისტებს კარპოვის შტაბის ხელმძღვანელმა ანატოლი ტუპიკინმა. — მას შეეძლო მეთექვსმეტე პარტიაში იოლად მიეღწია ყაიმისთვის, მაგრამ მეტი მოინდომა. აი, მეჩვიდმეტე პარტიაში კი კარპოვმა კვლავ შესანიშნავად ითამაშა.

აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია მეთვრამეტე პარტიამ, რომელშიც კასპაროვს საშუალება ჰქონდა სვლების გამეორებით ყაიმისთვის მიეღწია, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, არ გააკეთა თუნდაც იმიტომ, რომ ამ მომენტისთვის უკეთესი პოზიცია ჰქონდა. მეცხრამეტე პარტიაში კარპოვმა, თითქოს მეტოქის გულში იხედებაო, წინასწარ გამოიცნო, რომ იგი გრიუნფელდის დაცვაში რაგოზინის ვარიანტს აირჩევდა და საგულდაგულოდ მოემზადა. მისი სადებიუტო „ნაღმი“ მართლაც დიდი ძალისა აღმოჩნდა.

ბერლინის „დოიჩეს შპორტეხოს“ კორესპონდენტმა რაიმუნდ შტოლცემ თავისი მიმოხილვა ასე დაასათაურა: „პრეტენდენტი სიცოცხლეს გამოესალმა! გაუმარჯოს პრეტენდენტს!“

ფრანგული გამოთქმის ასეთი გადაკეთებით ჟურნალისტმა ასახა ექსჩემპიონის უკიდურესი სამატჩო კრიზისი და მისი საოცარი აღმავლობა.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტად დაიძაბა. ჩვენ დღეისთვის ამ მატჩის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ... არაფერი ვიცით!

# ნაირფერი აფრები

ამას წინათ ბათუმის საზღვაო პორტის აკვატორიაში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი აფროსნობაში. შეჯიბრებაში თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის აფროსნებთან ერთად ლენინგრადელი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ. სულ 63-მა ეკიპაჟმა მოიყარა თავი. ასპარეზობამ ბათუმელთა და მათი ასობით სტუმრის დიდი ინტერესი გამოიწვია. მართლაც დიდებული სანახავი იყო ამ დღეებში ლურჯად მოლივლივე ზღვა და მასზე მოსრიალე ნაირფერაფრებიანი ნავები. შეჯიბრებაც ორგანიზებულად ჩატარდა.

გაგაცნობთ ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს:

„470“. ვაჟები: 1. ო. ფომენკო (მესაჭე), კ. სოკოლნიკოვი; 2. ი. გვარამია (მესაჭე), ა. მონჟოსინი (ორივე ქუთაისი — ბათუმი); 3. თ. აქფეროვი (მესაჭე), ი. სტუეანოვი (სოხუმი). ქალები: 1. ა. მიტროფანოვა (მესაჭე, ფოთი), ე. ობედკოვა (სოხუმი); 2. ვ. ვობუსოვა (მესაჭე), ე. გულკოვა (ბათუმი). მესამე ადგილი არავის არ მიეკუთვნა.

„ფინი“. 1. გ. ვადაჭკორია (თბილისი); 2. ე. ვართანიანი (სოხუმი); 3. ლ. ჯიშკარიანი (თბილისი).

„სხივი“. 1. ვ. დიასამიძე; 2. ი. მხითარიანი (ორივე — ბათუმი); 3. მ. როზოვი (ფოთი).

„ვინდგლაიდერი“. 1. დ. ვოლოლაუჩენკო; 2. თ. გვათუა; 3. რ. გვათუა (სამივე — სოხუმი).

**ლევან ქავჟარაძე.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

ბათუმი.

# ამერიკელები მხარს უჭერენ

„**გაუმარჯოს** თავისუფალ ნიკარაგუას“ — ისმოდა შეძახილები ტრიბუნებზე. ნიკარაგუელ ბეისბოლისტთა ეროვნული ნაკრების პირველი მატჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკელთა სოლიდარობის გამომხატველ დემონსტრაციად იქცა: ამ ქვეყნის საზოგადოებრიობა მხარს უჭერდა ნიკარაგუის რევოლუციას, გმობდა ოფიციალური ვაშინგტონის ცდებს, თავს მოახვიოს თავისი ნება ნიკარაგუელ ხალხს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდის წევრებმა, რომლებსაც ნიკარაგუელი ბეისბოლისტები შეხვდნენ, თავიანთი მარცხი მარტო მეტოქეთა გაწაფულობით როდი ახსნეს. „ამბობენ, შინ კედლებიც გეხმარებიანო, — თქვა ამერიკელმა პიტ ფონდერსმიტმა, — მაგრამ ჩვენს მოედანზე მაყურებელთა სიმპათია მთლიანად სტუმრების მხარეს იყო“. მაყურებლები, რომლებსაც არ უფიქრიათ გრძნობების დამალვა, მხურვალედ უჭერდნენ მხარს თავისუფალი ნიკარაგუის წარმომადგენლებს, ბევრს პერანგზე დაბნეული ჰქონდა სამკერდე ნიშანი წარწერით „სოლიდარობას ვუცხადებ ნიკარაგუას“.

სხვა პოზიცია დაიკავეს ვაშინგტონში. ამერიკის ხელისუფალნი თავიდანვე ცდილობდნენ შეეფერხებინათ აშშ-ში ნიკარაგუის გუნდის ჩამოსვლა, რომელიც მოიპატიჟა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „სპორტსმენებს მშვიდობა სურთ“. აშშ-ის საელჩო მანაგუაში დიდხანს აყოვნებდა ვიზების გაცემას. ნიკარაგუელთა მოგზაურობა თითქოს უნდა ჩაშლილიყო: პირველი მატჩი სან-ფრანცისკოში არ შედგა, მაგრამ ამან ხალხის ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ხელისუფალნი იძულებული გახდნენ დაეთმოთ.

იუპ-ის სააგენტოს შეფასებით, „ნიკარაგუელ ბეისბოლისტთა გუნდი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამოყვარულო გუნდია“. უახლოეს ათ დღეში ეს გუნდი კალიფორნიაში იმოგზაურებს და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ამერიკელ სპორტსმენებთან.

# „კაისას ღიმილი“

**ქალაქ** ვლადიმირის საოლქო გაზეთი „პრიზივი“ აცხადებს მეორე საკავშირო კონკურსს. ამოცანა-ხუმრობათა შედგენაში. გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები, საპატიო და საქებო შეფასებები.

დიაგრამებზე (ორ ეკზემპლიარად) გამოსახული ორიგინალური კომპოზიციები ავტორისეული სრული ამოხსნებით უნდა გაიგზავნოს 1986 წლის არა უგვიანეს 30 ნოემბრისა შემდეგი მისამართით: 600 000 გსპ, ქ. ვლადიმირი, ოფიცერსკაია № 33ა, საოლქო გაზეთ „პრიზივის“ რედაქცია.

კონვერტზე უნდა იყოს წარწერა: „ამოცანა-ხუმრობათა შედგენის კონკურსი“.

ქვემოთ გთავაზობთ ამოცანა-ხუმრობას, რომელმაც „კაისას ღიმილის“ პირველ საკავშირო კონკურსში მეორე საპატიო შეფასება დაიმსახურა.

**ქ. ტინა (ქ. ვირუ)**



თეთრები იბრუნებენ ბოლო სვლას და ერთ სვლაში აცხადებენ პატს.

ამოხსნა: თეთრები თამაშის დაწყებისთანავე ეტლუშის გარეშე თამაშობდნენ, მაშასადამე, დაფაზე გამოსული ეტლები გაყვანილი ფიგურებია, ამიტომ თეთრები იბრუნებენ 0-0-0 სვლას (ამის შემდეგ მეფე e1 უჯრაზე აღმოჩნდება) და აკეთებენ 1. 0-0 სვლას — დაფაზე მიიღება პატი!

# იწყება ევროპის ტურნირები

**დღეს, 2 ოქტომბერს, იწყება ევროპის საკლუბო ტურნირების — ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და რადივოე კორაჩის თასის გათამაშება.**

ეს იქნება ჩემპიონთა თასის საიუბილეო, 30-ე ტურნირი. ჩემპიონთა თასს ყველაზე მეტჯერ, ცხრაჯერ, იტალიის კლუბები ფლობდნენ: ხუთჯერ — ვარესეს გუნდი (იგი სხვადასხვა სახელით გამოდიოდა: „ინისი“, „ემერსონი“, „მობილჯირჯი“, „ტურისანდრა“), ორჯერ — კანტუს გუნდი „ფორდი“ (ადრე ის „ბირა ფორსტის“, „გაბეტის“ და სკვიბ-ის სახელით ასპარეზობდა) და თითოჯერ — მილანის „სიმენტალი“ (ახლა იგი „ოლიმპია-სიმაკის“ სახელით გამოდის) და რომის „ბანკო და რომა“. რვაჯერ ფლობდნენ ჩემპიონთა თასს საბჭოთა გუნდები: ოთხჯერ — მოსკოვის არმიელები, სამჯერ — რიგის არმიელები, ერთხელ — თბილისის „დინამო“. თასის გათამაშებაში შვიდჯერ გაიმარჯვეს ესპანელებმა (შვიდივეჯერ — მადრიდის „რეალმა“), სამჯერ იუგოსლაველებმა, ერთხელ სარაევოს „ბოსნამ“ და ორჯერ — ზაგრების „ციბონამ“. ჩემპიონთა თასი ორჯერ დაისაკუთრა ტელავივის „მაკაბიმ“ (ისრაელი).

თასების მფლობელთა თასის გათამაშება ოცდამეერთედ ჩატარდება. აქ იტალიის კლუბებს უპირატესობა აქვთ. ისინი თერთმეტჯერ ფლობდნენ საპატიო პრიზს. ოთხჯერ გაიმარჯვა კანტუს გუნდმა, სამჯერ — მილანის „სიმენტალმა“, ორჯერ — ვარესეს გუნდმა, ერთხელ — ნეაპოლის „ფიდესმა“ და ერთხელ — პეზაროს „სკავოლინიმ“. აღსანიშნავია, რომ იტალიის კლუბები ექვსი წლის მანძილზე (1976-1981) არავის უთმობდნენ თასების თასს. ესეც თავისებური რეკორდია. დანარჩენი ქვეყნები საკმაოდ ჩამორჩებიან იტალიელებს. ესპანეთის კლუბები სამჯერ ფლობდნენ ამ ჯილდოს: ორჯერ — „ბარსელონა“, ერთხელ — „რეალი“. უკანასკნელ წლებში თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში ესპანეთის კლუბები იმარჯვებენ. „ბარსელონამ“ ზედიზედ ორჯერ მოიგო ეს თასი. იგი ორჯერ დაისაკუთრეს იუგოსლავიის კლუბებმა „ცრვენა ზვეზდამ“ და „ციბონამ“. ასევე ორჯერ მოიპოვა წარმატება ლენინგრადის „სპარტაკმა“.



მეთექვსმეტედ აიღებს სტარტს სახელგანთქმული იუგოსლაველი კალათბურთელის რადივოე კორაჩის სახელობის თასის გათამაშება. კორაჩის თასზე წარმატებით ასპარეზობენ იუგოსლავიის კლუბები. მათ ექვსჯერ მოიგეს ეს პრიზი: „იუგოპლასტიკამ“ და „პარტიზანმა“ — ორ-ორჯერ, ბელგრადის ოკკ-მ და ზაგრების „ლოკომოტივმა“ — თითოჯერ. ხუთჯერ დაეუფლნენ კორაჩის თასს იტალიის კლუბები. ორჯერ — კანტუს გუნდი, თითოჯერ — „ოლიმპია-სიმაკი“, „ბანკო და რომა“ და „სებასტიან არიგონა“. უკანასკნელი ორი სეზონის მანძილზე კორაჩის თასისთვის წარმატებით იბრძვიან იტალიის კლუბები — ამ თასის გათამაშება მათ საშინაო საქმედ იქცა. 1985 წელს ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ოლიმპია-სიმაკი“ და „ჩაო კრემი“, 1986 წელს — „ბანკო დი რომა“ და „მობილჯირჯი“ (კაზერტა). კორაჩის თასი სამჯერ მოიგეს საფრანგეთის კლუბებმა: ორჯერ — „ლიმოჟმა“ და ერთხელ — „ელან ბერნემ“. ერთხელ გაიმარჯვა ბადალონის „ხუვენტუდმა“ (ესპანეთი).

როგორც ხედავთ, საბჭოთა კლუბები წარმატებით ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ასპარეზობდნენ. მათ გარკვეული მიღწევები ჰქონდათ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშიც. 1973 და 1975 წლებში ამ თასის მფლობელი ლენინგრადის „სპარტაკი“ იყო. ამავე თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ თბილისის „დინამო“ (1969 წელს), ლენინგრადის „სპარტაკი“ (1971) და კაუნასის „ჟალგირისი“ (1985). აი, კორაჩის თასის გათამაშებაში კი საბჭოთა კლუბებს რაიმე სერიოზული წარმატებისათვის არ მიუღწევიათ. ჯერჯერობით საუკეთესოა მოსკოვის „დინამოს“ შედეგი, რომელიც 1981 და 1983 წლებში გავიდა ნახევარფინალში.

**მერაბ კალანდაძე.**

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 2 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საჭადრაკო სკოლა — **16.30 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.15 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა შორის საფრანგეთიდან — **24.00 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 2 ოქტომბერი.** ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი (კაისას რჩეულნი). საქართველოს ტელევიზიის ფილმების სტუდიის ნაწარმოები — **22.40 (1)**; დედოფლის გვირგვინისთვის — **23.30 (1)**.

**საქართველოს რადიო. 2 ოქტომბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **11.40.**

საქართველოს სპორტსახკომი და „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკს, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გიორგი მაკასარაშვილს დედის, სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის სპორტის ოსტატ

**ქეთევან გიორგის ასულ გოლაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05831